საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დეზურა

Image not found or type unknown



დეზურა შესანიშნავი დეზურა (Delphini- um speciosum

დეზურა (Delphinium), მცენარეთა გვარი ხარისძირასებრთა ოჯახისა.

მრავალწლოვანი ბალახებია. აქვთ თათისებრ განკვეთილი ფოთლები და ლურჯი, ცისფერი, იისფერი, იშვიათად მოყვითალო ყვავილები, რ-ებიც შეკრებილია საგველა ან მტევნისებრ ყვავილედებად.

ყვავილსაფრის ზედა ფოთოლი დეზიანია, ნაყოფი – ფოთლურა. გვარში 300-ზე მეტი სახეობაა;

გავრცელებულია ჩრდ. ნახევარსფეროში, აგრეთვე ტროპ. აფრიკის მთებში.

საქართველოში 18 სახეობაა, მ. შ. ელისაბედის დ. (D. elisabethae) საქართვ. ენდემია, ხოლო სამი (კავკასიური დ. – D. caucasicum, შესანიშნავი დ. –D. speciosum; ნაზი დ. – D. bracteosum) კავკასიის ენდემი.

დ-ს უმეტესობა მთის სახეობებია; იზრდება მაღალბალახეულობაში, სუბალპ. ტყეებში, ტყეების პირებზე, მდელოებზე, აგრეთვე, ღორღიან და ქვიან ადგილებზე. ზოგ სახეობას, რ-იც ალკალიდებს შეიცავს, იყენებენ მედიცინაში, ზოგს – საღებავად, ზოგიც თაფლოვანია.

რ. გაგნიძე